

ლეგალური იმიგრაციის გზამკვლევი



2015

ლაგალური იმიგრაციის გზამკვლევი

ავტორი:

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო
მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №67ა
ტელ: +995 322 401 010
ელფოსტა: SCMI-Secretariat@sda.gov.ge
ვებგვერდი: www.migration.commission.ge

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

იუსტიციის სამინისტრო



შინაგან საქმეთა სამინისტრო



საგარეო საქმეთა სამინისტრო



ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ
პირთა, განსახლებისა და
ტოლკოვითა სამინისტრო



დიასპორის საკითხებში
სახელმწიფო მინისტრის აპარატი



შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის
სამინისტრო



ევროპულ და ევროატლანტიკურ
სტრუქტურებში ინტეგრაციის
საკითხებში სახელმწიფო
მინისტრის აპარატი



ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო



ფინანსთა სამინისტრო



განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო



სტატისტიკის ეროვნული
სამსახური



რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

გზამკვლევი შემუშავდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს მიერ.
ითარგმნა და გამოიცა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის -
„მიგრაციის მართვის გაძლიერება
საქართველოში“ (ENIGMMA) ფარგლებში



სახელმწიფო სარეგისტრაციო
ბაზის მართვის სააგენტო

გზამკვლევის შესახებ	4
სასარგებლო რჩევები უცხოელებისთვის	5
საქართველოს ვიზის კატეგორიები და ტიპები	12
საქართველოში უვიზოდ შემოსვლა	18
ბინადრობის ნებართვა და მოწმობა	22
თანამემამულის სტატუსი და მოწმობა	26
მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი და შესაბამისი დოკუმენტები	28
უცხოელისთვის საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადება	30
საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება	32
ლტოლვილის ან/და ჰუმანიტარული სტატუსი და შესაბამისი დოკუმენტები	36
მიგრაციის მართვა საქართველოში – მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია	39
საქართველოს სასაზღვრო გამტარი პუნქტები	44
მიგრაციის სფეროში სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელი ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიული წარმომადგენლობები	48
საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დანესებულებები	49
საქართველოს ტერიტორიაზე აკრედიტებული უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობები	68
მიგრანტის ლექსიკონი	74

მიგრაციის პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე, მის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე. დღეისათვის საქართველო მიგრანტების როგორც წარმოშობის, ისე დანიშნულებისა და ტრანზიტის ქვეყანაა. აღნიშნული პროცესების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა და შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების განვითარება ქვეყნისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ევროკავშირთან ინტეგრაციის პარალელურად, ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების გაფართოებისა და ხელშეწყობისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მოსახლეობის ჯეროვანი ინფორმირებულობა, როგორც ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების, ასევე არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული საფრთხეებისა და რისკების შესახებ.

უქანასწნელ წლებში ევროკავშირის მხარდაჭერით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მიგრანტთა ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით. ამ მხრივ აქტიურ საქმიანობას ეწევა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, რომელმაც შეიმუშავა საინფორმაციო კამპანიის კონცეფცია, სახელწოდებით „ლეგალური მიგრაცია - საუკეთესო არჩევანი.“ კონცეფცია მოიცავს სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო ხასიათის ღონისძიების ორგანიზებას, რომლებიც კომისიის წევრი უწყებების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით ხორციელდება. ამავე კამპანიის ფარგლებში დაიგეგმა გზამკვლევის შემუშავება, რომლის მიზანია, პრაქტიკული ინფორმაცია მიაწოდოს პოტენციურ თუ უკვე არსებულ მიგრანტებს და მიგრაციის სფეროთი დაინტერესებულ სხვა პირებს.

დღემდე საქართველოში ლეგალური იმიგრაციის შესახებ ინფორმაციის ერთადერთ წყაროს ცალკეული სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციების ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია ან სხვადასხვა საჯანონმდებლო აქტში გაფანტული იმიგრაციის მარეგულირებელი ნორმები წარმოადგენდა. ასეთი ტიპის ინფორმაცია კი იშვიათად არის ამომწურავი, მარტივად ხელმისაწვდომი ან ადვილად გასაგები ენით დაწერილი. წინამდებარე გზამკვლევი ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად შემუშავდა. იგი აერთიანებს პრაქტიკული ხასიათის ინფორმაციას იმიგრანტებისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის, შესაბამისი სტატუსის მოპოვებისა და ლეგალურად გადაადგილების შესახებ.

ვფიქრობთ, გზამკვლევი მნიშვნელოვნად გაუმარტივებს იმიგრანტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს ლეგალური იმიგრაციის მარეგულირებელი ნორმებისა და შესაბამისი სერვისების შესახებ ინფორმაციის მოძიებას. ვიმედოვნებთ, რომ იმიგრანტთა ინფორმირებულობის გაზრდა დადებითად აისახება ლეგალური მიგრაციის დინამიკაზე.

სასარგებლო რჩევები უცხოელთათვის

საქართველო: ძირითადი ფაქტები ¹	
საქართველოს ტერიტორია	69,700 კვ. კმ
სახმელეთო საზღვარი	1,814 კმ
მოსაზღვრე ქვეყნები	სომხეთი (219 კმ)
	აზერბაიჯანი (428 კმ)
	თურქეთი (273 კმ)
	რუსეთი (894 კმ)
სანაპირო ზოლი	310 კმ
მოსახლეობა	3,729,500 (2015 წ. 1 იანვრის მონაცემებით)
მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა (2002 წლის აღწერის მონაცემებით)	ქართველები 83.8%
	აზერბაიჯანელები 6.5%
	სომხები 5.7%
	რუსები 1.5%
	სხვა 2.5%
დედაქალაქი	თბილისი
დედაქალაქის მოსახლეობა	1,118,300 (2015 წ. 1 იანვრის მონაცემებით)
სახელმწიფო ენები	ქართული, აფხაზური
მოსახლეობის ზრდა	-0.11% (2014 წ. მონაცემები)
ურბანული მოსახლეობა	57.4% (2015 წ. 1 იანვრის მონაცემებით)

საქართველო („Sakartvelo“) ტრანსკონტინენტური ქვეყანაა და აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის გზაგასაყარზე მდებარეობს.

მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო ხშირად ექცეოდა მსოფლიოში მიმდინარე დრამატული ისტორიული მოვლენების ეპიცენტრში. შედეგად, საქართველოს ისტორიაში შეხვდებით უამრავ ფაქტს ბრძოლის, გამარჯვებისა და გადარჩენის შესახებ. საქართველო ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოა რეგიონში და ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვიდან იღებს დასაბამს, თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რეგიონული მოთამაშე მე-11 - მე-12 საუკუნეებში, მეფეების -

დავით აღმაშენებლისა და თამარის მმართველობის დროს იყო. მათ მოახერხეს საქართველოს გაერთიანება და წარმატებულ და ძლიერ სახელმწიფოდ გარდაქმნა. მოგვიანებით მონღოლთა, სპარსეთისა და ოსმალთა იმპერიების მიერ განხორციელებულმა დაპყრობითმა ომებმა ძლიერ დაასუსტა ქართული სახელმწიფო და საფუძველი მოამზადა მე-19 საუკუნის ბოლოს რუსეთის იმპერიის მიერ სრული ანექსიისთვის. 1918 წელს საქართველომ მცირე ხნით მოახერხა დამოუკიდებლობის აღდგენა, მაგრამ 1921 წლიდან ისევ ბოლშევიკური რუსეთის ოკუპაციის ქვეშ მოექცა.

¹ინფორმაციის წყარო: www.geostat.ge; www.government.gov.ge.

საბჭოთა კავშირიდან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების დიდი ნაწილი, ეკონომიკური სიძნელეებისა და სამოქალაქო კონფლიქტების წინაშე აღმოჩნდა. ეს პროცესები ორი ქართული რეგიონის - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (ე.წ. სამხრეთ ოსეთის) საქართველოდან დე-ფაქტო გამოყოფით დასრულდა. ქვეყნისთვის უკანასკნელი დარტყმა 2008 წლის რუსეთთან ომი იყო, რის შემდეგაც რუსეთმა უშუალოდ მოახდინა ამ ორი რეგიონის ოკუპაცია.

სახელმწიფო წყობა და მმართველობის სისტემა

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. სახელმწიფოს მეთაური და სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალია საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც აირჩევა საყოველთაო არჩევნების გზით 5 წლის ვადით; ხოლო საქართველოს მთავრობა პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს საქართველოს პარლამენტი, რომელიც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა და აირჩევა 4 წლის ვადით. ხელისუფლების მესამე შტოა დამოუკიდებელი სასამართლოები. მმართველობის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ადგილობრივ თვითმმართველობებს, რომელთა უფლებამოსილებები უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა.

ეკონომიკა და გადასახადები

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიზანი მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებაა, რომელიც მიიღწევა მდგრადი და ინტელუზიური ეკონომიკური ზრდის პირობებში, როდესაც ყველა მოქალაქე სარგებლობს ეკონომიკური ზრდით მოტანილი სიკეთით და იმავდროულად, ეკონომიკური განვითარების პროცესში მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობაც უზრუნველყოფილია. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებსა და ღირებულებებს ემყარება.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, საქართველოს **მთლიანმა შიდა პროდუქტმა (მშპ)** 2014 წელს 16,5 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, ხოლო მშპ-მ ერთ სულ მოსახლეზე 3,689 აშშ დოლარი შეადგინა. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა სტაბილურად იზრდებოდა და მომავალ წლებშიც ზრდა არის ნავარაუდები.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ასევე, საქართველოს საგარეო-სავაჭრო ბრუნვა, რომელსაც ქვეყანაში მოქმედი მელავათიანი საგარეო-სავაჭრო რეჟიმები და ქვეყნის ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა უწყობს ხელს. საყურადღებოა, რომ 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებას, რომლის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილსაც წარმოადგენს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომელიც უკვე რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ და ძალაშია 2014 წლის სექტემბრიდან.

საქართველოში ხელსაყრელი ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შექმნის მიზნით განხორციელდა და მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები, რომელთა დადებითი შედეგები ასახულია საერთაშორისო კვლევებსა და შეფასებებში. მაგალითად, მსოფლიო ბანკის 2015 წლის ბიზნესის წარმოების სიმარტივის რეიტინგში (Doing Business Index) საქართველო მე-15 ადგილზეა. საქმიანობის დაწყების, საკუთრების რეგისტრაციისა და სხვადასხვა ნებართვის მიღების პროცედურები განსაკუთრებით არის გამარტივებული. კერძოდ, საქართველო მსოფლიოს ტოპ თხუთმეტ ქვეყანას შორისაა აღნიშნული კვლევის ისეთი კომპონენტების მიხედვით, როგორებიცაა: ქონების რეგისტრაცია (1-ლი ადგილი), მშენებლობის ნებართვით სარგებლობა (მე-3 ადგილი), ყრედიტით სარგებლობა (მე-7 ადგილი), ბიზნესის დაწყება (მე-5 ადგილი). დამატებითი ინფორმაცია რეგისტრაციის წესებისა და მოთხოვნების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (www.napr.gov.ge), იუსტიციის სახლისა (www.psh.gov.ge) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (www.economy.ge) ვებგვერდებზე.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014-2015 წლების „გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენების“ (The Global Competitiveness Report) მიხედვით, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 2014-2015 წლების საქართველოს პოზიცია 2011-2012 წლებთან შედარებით (88-ე ადგილი) 19 საფეხურით გაუმჯობესდა, ხოლო 2013-2014 წლებთან შედარებით (72-ე ადგილი) - 3 საფეხურით და 69-ე ადგილზე გადმოინაცვლა 144 ქვეყანას შორის. საქართველოს პოზიციები გაუმჯობესებულია ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა: ინსტიტუციური განვითარება, მაკროეკონომიკური გარემო, ბიზნესგარემო და სასამართლო ხელისუფლება.

საყურადღებოა, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ აღნიშნული კვლევა კერძო სექტორისა და მენარმეთა გამოკითხვის საფუძველზე ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის აგვისტოს შეფასებით, „Moody’s Investors Service“-მა საქართველოს „სტაბილური“ პერსპექტივა (Outlook) შეცვალა „დადებითით“. აღნიშნული ცვლილების ძირითად საფუძველს წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ხელმოწერა, ასევე გაუმჯობესებული ინსტიტუციური შესაძლებლობები და ეკონომიკური მმართველობა.

„Frazer Institute“-ის 2014 წლის მოხსენების – „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 5 ადგილით გაუმჯობესდა და 21-ე ადგილიდან მე-16 ადგილზე გადმოინაცვლა 152 ქვეყანას შორის.

მნიშვნელოვნად გამარტივდა **საგადასახადო სისტემა** და შემცირდა გადასახადების რაოდენობა. გადამხდელად რეგისტრაციისთვის და თქვენზე დაკისრებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ვებგვერდს: www.rs.ge.

საქართველოში ყარგად განვითარებული **საბანკო სისტემა**. ქვეყანაში მოქმედებს რამდენიმე მსხვილი კერძო ბანკი, მცირე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და საკრედიტო ქავშირი. უცხოური ვალუტის კონვერტაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ მსხვილი ოპერატორების ოფიციალურ წარმომადგენლობებსა და მცირე ზომის სავალუტო ჯიხურებს ქუჩაში.

საქართველოს ეროვნული ვალუტაა **ქართული ლარი (GEL)**.

ხალხი და ენა



საქართველო ტრადიციულად მართლმადიდებელი ქრისტიანი ქვეყანაა. ქრისტიანობა ჯერ კიდევ მე-4 საუკუნეში გავრცელდა, თუმცა საქართველო საუკუნეების მანძილზე იყო მუსლიმ, იუდეველ და სხვა რელიგიურ უმცირესობათა სამშობლოც. რელიგიური თვითგამოხატვის თავისუფლება, ისევე როგორც ადამიანის სხვა ძირითადი უფლებები, დაცულია საქართველოს კონსტიტუციით.

საქართველოში **სახელმწიფო ენებია** ქართული და აფხაზური. ქართული ენა დამწერლობისთვის ქართულ ანბანს იყენებს, რომელიც ერთ-ერთია მსოფლიოს 14 უნიკალურ ანბანს შორის. საქართველოს ისტორიის, კულტურისა და კლიმატის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, ეწვიოთ ვებგვერდს: www.government.gov.ge.

უსაფრთხოება: თუ თქვენს უსაფრთხოებას ან ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრება, **აყრიფეთ 112** და დაუკავშირდით გადაუდებელი დახმარების სამსახურს. იგი აერთიანებს სახანძრო-სამაშველო სამსახურს, სასწრაფო სამედიცინო დახმარებასა და საპატრულო პოლიციას. პოლიცია საქართველოში გამორჩეულად მაღალი ნდობით სარგებლობს მოსახლეობის მხრიდან.

შენიშვნა:

მოიძიეთ და ყოველთვის თან იქონიეთ თქვენი ქვეყნის დიპლომატიური ან/და საკონსულო წარმომადგენლობის საკონტაქტო ინფორმაცია, მისამართი და ცხელი ხაზის ნომერი. რეკომენდებულია, რომ ქვეყანაში შემოსვლისთანავე დადგეთ თქვენი ქვეყნის საკონსულოს აღრიცხვაზე, რათა საჭიროების შემთხვევაში შეძლოთ დროული და ადეკვატური დახმარების მიღება თქვენი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის მხრიდან.

განათლების სისტემა

საქართველოში განათლების სისტემა იყოფა სკოლამდელ, ზოგად, უმაღლეს და პროფესიულ განათლებად. განათლების ყველა საფეხურზე მოქმედებს მთელი რიგი ჯერძო და საჯარო საგანმანათლებლო ინსტიტუტები. პროგრამების უმეტესობა ქართულ (სახელმწიფო) ენაზეა, თუმცა სხვადასხვა ჯერძო და საჯარო ინსტიტუტი ინგლისურ, რუსულ და სხვა ენებზეც სთავაზობენ პროგრამებს სტუდენტებს.

ზოგადი განათლება მოიცავს დაწყებით (1-დან მე-6 კლასის ჩათვლით), სავალდებულო საშუალო (მე-7 - მე-9 კლასები) და საშუალო სკოლას (მე-10 - მე-12 კლასები). დაწყებით კლასებში 6 წლის ასაკიდან ირიცხებიან. მოსწავლეებს აქვთ საშუალება, აიღონ **არასრული საშუალო განათლების მოწმობა** სავალდებულო საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ, ან გააგრძელონ სწავლა საშუალო სკოლის დანარჩენ კლასებში, ან პროფესიულ სკოლაში. საშუალო სკოლის 12 კლასის დასრულების შემდეგ მოსწავლეები იღებენ **საშუალო განათლების მოწმობას**.

პროფესიული სკოლები/კოლეჯები ასევე 2-3-წლიან სასწავლო პროგრამებს სთავაზობენ მოსწავლეებს. ამ სკოლებში მიღებული დიპლომი მათ საშუალებას აძლევს, დასაქმდნენ პროფესიით ან გააგრძელონ სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში.

უმაღლესი განათლება სამი საფეხურისგან შედგება - ბაკალავრი (BA), მაგისტრატურა (MA) და დოქტორანტურა (PhD).

საჯარო სკოლამდელ და დაწყებით სკოლებში **ჩარიცხვის სისტემა** ცენტრალიზებულია და გვიან გაზაფხულსა და ადრე ზაფხულის თვეებში ხდება. თბილისის მასშტაბით ბალებში დარეგისტრირებისთვის მშობლებმა უნდა ისარგებლონ ვებგვერდით <http://kids.org.ge/>, ხოლო დაწყებით კლასებში რეგისტრაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ახორციელებს (www.emis.ge) მთელი ქვეყნის მასშტაბით. უცხოელებს აქვთ საშუალება, რომ ისარგებლონ მოსწავლეთა რეგისტრაციის აღნიშნული სერვისით. ჯერძო საბავშვო ბალებსა და სკოლებში რეგისტრაცია ინდივიდუალურად ხდება.

უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებში ჩარიცხვაც ცენტრალიზებულად ხდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ (www.naec.ge), მაგრამ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, როგორც წესი, არ სჭირდებათ ეროვნული გამოცდების გავლა და მხოლოდ აპლიკაციისა და ინტერვიუს საფუძველზე ირიცხებიან. ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა, რომ ვიზა და/ან ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტები წესრიგში გქონდეთ.

ჯერძო და საჯარო უნივერსიტეტებისა და პროფესიული სკოლების ჩამონათვალი და მათი ვებგვერდები შეგიძლიათ იხილოთ საგანმანათლებლო გზამკვლევის გვერდზე: www.edu-guide.ge. ანალოგიური ინფორმაცია ჯერძო სკოლების შესახებ ხელმისაწვდომია მისამართზე: www.edu-child.ge.

განათლების დამადასტურებელი უცხოური დოკუმენტების აღიარება. საქართველო „ბოლონიის პროცესს“ 2005 წელს შეუერთდა და ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის სრული წევრი 2010 წლიდან გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული უნივერსიტეტების მიერ მინიჭებული ხარისხი ევროპის მასშტაბით ყველგან მიიღება და პირიქით.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი არის პასუხისმგებელი უცხოური საგანმანათლებლო ინსტიტუტების მიერ გაცემული დიპლომებისა და სხვა საბუთების აღიარებაზე. აღიარების ძირითადი წესები და მოთხოვნები, ისევე როგორც ცენტრის საკონტაქტო ინფორმაცია, შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: www.eqe.ge.

ჯანმრთელობის დაცვა

ჯანდაცვა: ძირითადი ფაქტები ¹	
საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა	75,2 წელი
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა 1000 კაცზე	11,6 (2013 წლის მონაცემებით)
ექიმების რაოდენობა 1000 კაცზე	22,4 (2013 წლის მონაცემებით)

¹ ინფორმაციის წყარო: www.geostat.ge.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემა სრულად პრივატიზებულია. მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს კერძო საავადმყოფოები, ასე რომ, აუცილებელ სამედიცინო მომსახურებაზე ხელი მიუწვდება მეტაქტებად ყველა რეგიონის მოსახლეობას. ინფორმაცია სამედიცინო მომსახურების მომწოდებლებზე შეგიძლიათ იხილოთ საინფორმაციო პორტალზე: <http://cloud.moh.gov.ge/>. დამატებითი ინფორმაცია ექიმების, სისხლის მარაგის, აფთიაქების შესახებ ხელმისაწვდომია პორტალზე ავტორიზაციის გავლის შემდგომ.

მომხმარებელს ჯანმრთელობის დაზღვევის სხვადასხვა პაკეტს სთავაზობს საქართველოში მოქმედი რამდენიმე მსხვილი სადაზღვევო კომპანია, რომელთა შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის ვებგვერდზე: www.insurance.org.ge.



საქართველოს ვიზის ატაშეორიები და ტიპები

საქართველოს ვიზა დადგენილი ფორმის პირობითი ნებართვაა, რომელიც გაიცემა უცხოელის სამგზავრო დოკუმენტში ვიზის ბლანკის დატანით ან ელექტრონულად (ელექტრონული ვიზა) და ადასტურებს მის უფლებას, შემოვიდეს ან/და იმყოფებოდეს საქართველოში ან ტრანზიტით გაიაროს საქართველოს ტერიტორია.



საქართველოს ვიზის გაცემის მიზნით, უცხოელის საქართველოში მოწვევის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე პირს, საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, საქართველოს სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობას, საკონსულო დაწესებულებას და საერთაშორისო ორგანიზაციას. მოწვევა წარმოადგენს წერილობითი შუამდგომლობის შემცველ ოფიციალურ დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება უცხოელის საქართველოში ჩამოსვლის მიზანი.

საქართველოს ვიზის ტიპები

უცხოელზე, რომელიც აჟამყოფილებს საქართველოს ვიზის მიღებისთვის დადგენილ მოთხოვნებსა და პირობებს, შეიძლება გაიცეს საქართველოს ვიზა ერთჯერადი ან მრავალჯერადი შემოსვლის უფლებით.

ერთჯერადი მოკლევადიანი ვიზა გაიცემა უცხოელის მიერ სავიზო განაცხადში მითითებული დღეების რაოდენობის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 30 დღისა.

მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზა შეიძლება გაიცეს არაუმეტეს 5 წლის მოქმედების ვადით. ამასთანავე, უცხოელის საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 90 კალენდარულ დღეს ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში. მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზა გაიცემა იმ უცხოელზე, რომელიც წინა წლის განმავლობაში ერთხელ მაინც იმყოფებოდა საქართველოში და აქვს მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზის მოთხოვნის საფუძველი.

გრძელვადიანი ვიზა გაიცემა მრავალჯერადი შესვლის უფლებით, 90 კალენდარული დღის ან 1

წლის მოქმედებისა და საქართველოში ყოფნის ვადით. გრძელვადიანი ვიზა 1 წლის მოქმედების ვადით გაიცემა მხოლოდ D5 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის გაცემის შემთხვევაში.

საქართველოს ვიზის კატეგორიებია:

- დიპლომატიური ვიზა – **A** კატეგორია;
- სპეციალური ვიზა – **B** კატეგორია;
- ორდინალური ვიზა – **C** კატეგორია;
- საიმიგრაციო ვიზა – **D** კატეგორია;
- ტრანზიტული ვიზა – **T** კატეგორია.

თითოეული კატეგორიის საქართველოს ვიზა იყოფა ქვეკატეგორიებად:

A – დიპლომატიური ვიზა

A1 კატეგორიის ვიზა გაიცემა სახელმწიფო, ოფიციალური, სამუშაო, მეგობრული ან არაოფიციალური ვიზიტით საქართველოში მომავალ სხვა სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების პირველ პირებზე, უმაღლესი და მაღალი დონის დელეგაციების წევრებსა და მათ თანმხლებ ოჯახის წევრებზე.

A2 კატეგორიის ვიზა გაიცემა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების თანამშრომლებზე, საკონსულო დაწესებულებათა საკონსულო თანამდებობის პირებსა და მათი ოჯახის წევრებზე; საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობების იმ თანამშრომლებზე, რომლებსაც საქართველომ მიანიჭა დიპლომატიური სტატუსი და მათი ოჯახის წევრებზე.

A3 კატეგორიის ვიზა გაიცემა დიპლომატიურ კერიერებზე, სპეციალური დიპლომატიური მისიით საქართველოში მომავალ პირებზე.

A4 კატეგორიის ვიზა გაიცემა საქართველოს საპატიო კონსულებზე და მათი ოჯახის წევრებზე, თუ ისინი სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან.

A5 კატეგორიის ვიზა გაიცემა საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა მისიით საქართველოში მომავალ პირებზე, მათ შორის სამუშაო ვიზიტით საქართველოში მომავალ დიპლომატიური პასპორტის მფლობელ პირებზე.

B – სპეციალური ვიზა

B1 კატეგორიის ვიზა გაიცემა სხვა სახელმწიფოს დელეგაციის წევრებზე, სამუშაო ვიზიტით საქართველოში მომავალ სამსახურებრივი/ოფიციალური პასპორტის მფლობელ პირებზე, აგრეთვე აღნიშნულ პირთა თანმხლებ ოჯახის წევრებზე და სხვა თანმხლებ პირებზე;

B2 კატეგორიის ვიზა გაიცემა სხვა სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური და მომსახურე პერსონალის წევრებზე, საკონსულო დაწესებულების საკონსულო მოსამსახურეებსა და მომსახურე პერსონალზე, აგრეთვე მათი ოჯახის წევრებსა და კერძო შინამუშაეებზე; საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საერთაშორისო და ჰუმანიტარული ორგანიზაციების წარმომადგენლობების თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებზე. ასევე A2 კატეგორიის დიპლომატიური ვიზის მიმღებ პირთა თანმხლებ კერძო შინამუშაეებზე;

B3 კატეგორიის ვიზა გაიცემა საქართველოს საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე საქართველოში მომავალ პირებზე; საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული სამშვიდობო ძალებისა და სხვა სამხედრო კონტინგენტის წევრებზე და მათი ოჯახის წევრებზე;

B4 კატეგორიის ვიზა გაიცემა საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა მისიით საქართველოში მომავალ პირებზე.

C – ორდინალური ვიზა

C1 კატეგორიის ვიზა გაიცემა საქართველოში ტურისტული მიზნით მომავალ პირებზე.

C2 კატეგორიის ვიზა გაიცემა ნათესავებისა და მეგობრების მოსანახულებლად საქართველოში მომავალ პირებზე;

C3 კატეგორიის ვიზა გაიცემა საქმიანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებების გასამართავად საქართველოში მომავალ პირებზე; სამეცნიერო სემინარის, კონფერენციის, სხვა სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური, კულტურული ან სპორტული ღონისძიების მონაწილეებზე; ჟურნალისტური საქმიანობის განსახორციელებლად მომავალ პირებზე; საქართველოს ნავსადგურში მდგომი გემის ეკიპაჟის წევრებზე, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული არ არის გემის ეკიპაჟის წევრთა უვიზო მიმოსვლა. საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის/სამგზავრო გადაყვანის დროს სატვირთო/სამგზავრო ავტომატის ძირითად და დამატებით მძღოლებზე;

C4 კატეგორიის ვიზა გაიცემა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი მდგომარეობის არსებობისას ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად ან გასაწევად, საქველმოქმედო საქმიანობის განსახორციელებლად საქართველოში მომავალ პირებზე; საქართველოს მოქალაქის მეურვეზე ან მზრუნველზე, საქართველოს მოქალაქის მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირზე; სამკურნალოდ, ნათესავებისა და ახლობლების საფლავების მოსანახულებლად, წმინდა ადგილების მოსალოცად და რელიგიური კონტაქტების დასამყარებლად მომავალ პირებზე.

D – საიმეგრაციო ვიზა

D1 კატეგორიის ვიზა გაიცემა შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად საქართველოში მომავალ პირებზე, კომპანიებისა და ფირმების წარმომადგენლებსა და კონსულტანტებზე, რომლებიც საქართველოში თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად მოემგზავრებიან; უცხოელებზე, რომლებიც საქართველოში სამუშაოდ, გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე შემოდიან; „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად საქართველოში მომავალ პირებზე;

D2 კატეგორიის ვიზა გაიცემა სამეცნიერო, სპორტული, კულტურული ან საგანმანათლებლო მიზნით საქართველოში მომავალ პირებზე; თავისუფალი პროფესიის ადამიანებზე; უცხოელებზე, რომლებიც საქართველოში სტაჟირების გასავლელად ან მოხალისედ მოემგზავრებიან; მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკებზე, რომლებიც საქართველოში თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად მოემგზავრებიან;

D3 კატეგორიის ვიზა გაიცემა საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან მის ბაზაზე სასწავლებლად ან კვლევის ჩასატარებლად მომავალ პირებზე; საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში საქართველოში სასწავლებლად მომავალ პირებზე;

D4 კატეგორიის ვიზა გაიცემა ოჯახის გაერთიანების მიზნით საქართველოში მომავალ პირებზე.

D5 კატეგორიის ვიზა გაიცემა პირზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 35000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, და მისი ოჯახის წევრებზე.

T – ტრანზიტული ვიზა

T ტრანზიტული ვიზა გაიცემა მესამე სახელმწიფოში მიმავალ უცხოელზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიას ტრანზიტით გაივლის. ტრანზიტული ვიზის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 10 დღე.

ვიზის მიღების პროცედურები

საქართველოს ვიზა გაიცემა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში¹, ხოლო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საზღვარგარეთ მყოფ უცხოელზე ელექტრონულ ვიზა გაიცემა, თუ შესაბამისი სავიზო განაცხადი წარდგენილი იქნა სამინისტროს სპეციალური ვებგვერდის – www.evisa.gov.ge-ის (E-VISA PORTAL) მეშვეობით. საგარეო საქმეთა სამინისტრო ასევე უფლებამოსილია, საქართველოში ჯანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე გასცეს საიმიგრაციო ვიზა.

იმ ქვეყნის მოქალაქებს, რომელშიც საქართველოს არ აქვს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება, ვიზის მისაღებად შეუძლიათ, მიმართონ ახლომდებარე ქვეყნებში არსებულ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას. უცხოელებს, რომლებიც სამშობლოში არ იმყოფებიან, შეუძლიათ საქართველოს ვიზის მისაღებად მიმართონ ადგილსამყოფელ ქვეყანაში არსებულ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, პიროვნებას ჰქონდეს ადგილსამყოფელი ქვეყნის მრავალჯერადი მოქმედი ვიზა ან მოქმედი ბინადრობის ნებართვა.

საქართველოში ჯანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საიმიგრაციო ვიზის გასაცემად საჭირო დოკუმენტაციის მიღებას და სამგზავრო დოკუმენტში ვიზის დატანას ან საქართველოს ვიზის ელექტრონულად გაცემას საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოფენ იუსტიციის სახლის ფილიალები, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები და საზოგადოებრივი ცენტრები.

საქართველოში ჯანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოს საიმიგრაციო ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

მოკლევადიანი ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სავიზო განაცხადისა და საჭირო დოკუმენტაციის მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური ვებგვერდის – www.evisa.gov.ge-ის (E-VISA PORTAL) მეშვეობით სავიზო განაცხადის წარდგენისას ელექტრონული ვიზა გაიცემა არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

D კატეგორიის (გარდა D5 კატეგორიისა) საიმიგრაციო გრძელვადიანი ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სავიზო განაცხადის წარდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. D5 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი სავიზო განაცხადის წარდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

¹ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების სია იხილეთ 49-ე გვერდზე.

ვიზის ვადის გაგრძელება

საქართველოში მყოფ უცხოელს უფლება აქვს მოითხოვოს საქართველოს მოქალაქეადიანი დიპლომატიური და სპეციალური ვიზების (A და B კატეგორიები), აგრეთვე D3 კატეგორიის და D5 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზების მოქმედების ვადის გაგრძელება.

საქართველოს დიპლომატიური და სპეციალური ვიზების მოქმედების ვადის გასაგრძელებლად საჭირო დოკუმენტაციის მიღებას უზრუნველყოფს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხოლო, D3 და D5 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზების მოქმედების ვადის გასაგრძელებლად საჭირო დოკუმენტაციის მიღებას საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოფენ იუსტიციის სახლის ფილიალები, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები და საზოგადოებრივი ცენტრები.

შენიშვნა:

უცხოელს, რომელსაც წარდგენილი აქვს განაცხადი საქართველოს ვიზის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად, შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების განმავლობაში საქართველოში ყოფნის ვადა საპატიოდ ჩაეთვლება და იგი გათავისუფლდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჯარიმის გადახდის ვალდებულებისაგან. ასევე, საქართველოს ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უცხოელი არ შეიძლება გაძევებულ იქნეს საქართველოდან.

ვიზის გაცემის პროცედურების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდებზე: www.mfa.gov.ge; www.geoconsul.gov.ge; www.evisa.gov.ge.



საქართველოში უვიზოდ შემოსვლა

საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე უცხოელებს შეუძლიათ უვიზოდ შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოში უვიზოდ შემოსვლის და სრული 1 წლის ვადით უვიზოდ ყოფნის უფლება აქვთ შემდეგი ქვეყნების მოქალაქეებს:

1	ავსტრალია	21	ბრაზილია
2	ავსტრია	22	ბრუნეი-დარუსალამი
3	აზერბაიჯანი	23	ბულგარეთი
4	ალბანეთი	24	გერმანია
5	ამერიკის შეერთებული შტატები	25	დანია
6	ანდორა	26	დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო
7	ანტიგუა და ბარბუდა	27	დომინიკის რესპუბლიკა
8	არაბთა გაერთიანებული საამიროები	28	ელ-სალვადორი
9	არგენტინა	29	ეკვადორი
10	არუბის და ნიდერლანდის ანტილის კუნძულები	30	ესპანეთი
11	ახალი ზელანდია	31	ესტონეთი
12	ბარბადოსი	32	თურქეთი
13	ბაჰრეინი	33	თურქმენეთი
14	ბაჰამის თანამეგობრობა	34	იაპონია
15	ბელარუსი	35	ირლანდია
16	ბელგია	36	ისლანდია
17	ბელიზი	37	ისრაელი
18	ბერმუდის კუნძულები, ჯაიმანის კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები, ფოლკლენდის კუნძულები, ტერესის და ჯაიკოსის კუნძულები, გიბრალტარი	38	იტალია
19	ბოსნია და ჰერცეგოვინა	39	ჯანადა
20	ბოტსვანა	40	კატარი
		41	კვიპროსი
		42	კოლუმბია

43	ქორეა
44	ქოსტა-რიკა
45	ლატვია
46	ლიტვა
47	ლიბანი
48	ლიხტენშტაინი
49	ლუქსემბურგი
50	მავრიკი
51	მატაიზია
52	მალტა
53	მექსიკისა
54	მონაკო
55	მოლდოვა
56	მონტენეგრო
57	ნიდერლანდები
58	ნორვეგია
59	ომანი
60	პანამა
61	პოლონეთი
62	პორტუგალია
63	რუმინეთი
64	რუსეთის ფედერაცია
65	საბერძნეთი
66	სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა
67	სან-მარინო
68	საუდის არაბეთი
69	საფრანგეთი

70	საფრანგეთის პოლინეზია და ახალი კალედონია
71	სეიშელის კუნძულები
72	სენტ-ვინსენტი და გრენადინები
73	სერბეთი
74	სინგაპური
75	სლოვაკეთი
76	სლოვენია
77	სომხეთი
78	ტაილანდი
79	ტაჯიკეთი
80	უზბეკეთი
81	უკრაინა
82	უნგრეთი
83	ფარერის კუნძულები და გრენლანდია
84	ფინეთი
85	ქვეითი
86	ყირგიზეთი
87	ყაზახეთი
88	შვედეთი
89	შვეიცარია
90	ჩეხეთი
91	წმინდა საყდარი
92	ხორვატია
93	ჯერზი, გერზი, კუნძული მენი
94	ჰონდურასი

შენიშვნა:

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს საქართველოში შემოსვლა შეუძლიათ სამგზავრო დოკუმენტის, ასევე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული პირადობის მოწმობის საფუძველზე, რომელშიც აღნიშნულია პირის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და დატანილია ფოტოსურათი.

საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და სრული 1 წლის ვადით უვიზოდ ყოფნის უფლება აქვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან მისი სპეციალიზებული სააგენტოების მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტის - „ლესე-პასეს“ (Laissez-passer) მფლობელ უცხოელებს.

ქვეყნები, რომელთა ვიზების ან/და ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელებს შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა

უცხოელებს, რომლებსაც აქვთ ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ქვეყნის ვიზა ან/და ბინადრობის ნებართვა, შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა და ყოფნა ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში, 90 კალენდარული დღის ვადით:

1	ავსტრალია
2	ავსტრია
3	ამერიკის შეერთებული შტატები
4	არაბთა გაერთიანებული საამიროები
5	არუბის და ნიდერლანდის ანტილის კუნძულები
6	ახალი ზელანდია
7	ბაჰრეინი
8	ბელგია
9	ბერმუდის კუნძულები, ჯაიმანის კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები, ფოლკლენდის კუნძულები, ტერესის და ჯაიკოსის კუნძულები, გიბრალტარი
10	ბულგარეთი
11	გერმანია

12	დანია
13	დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო
14	ესპანეთი
15	ესტონეთი
16	იაპონია
17	ირლანდია
18	ისლანდია
19	ისრაელი
20	იტალია
21	ჯანადა
22	კატარი
23	კვიპროსი
24	კორეა

25	ლატვია
26	ლიტვა
27	ლიხტენშტაინი
28	ლუქსემბურგი
29	მალტა
30	ნიდერლანდები
31	ნორვეგია
32	ომანი
33	პოლონეთი
34	პორტუგალია
35	რუმინეთი
36	საბერძნეთი
37	საფრანგეთი

38	საფრანგეთის პოლინეზია და ახალი კალედონია
39	საუდის არაბეთი
40	სლოვაკეთი
41	სლოვენია
42	უნგრეთი
43	ფარერის კუნძულები და გრენლანდია
44	ფინეთი
45	ქვეითი
46	შვედეთი
47	შვეიცარია
48	ჩეხეთი
49	ხორვატია
50	ჯერზი, გერზი, კუნძული მენი

შენიშვნა:

საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და ყოფნის მიზნით, შესაბამისი ქვეყნის ვიზა ან/და ბინადრობის ნებართვა მოქმედი უნდა იყოს საქართველოში შემოსვლის (საზღვრის გადაკვეთის) დღისთვის, რაც უნდა დასტურდებოდეს სამგზავრო ან/და სხვა შესაბამისი დოკუმენტით.



ბინადრობის ნებართვა და მოწმობა

ბინადრობის ნებართვა ადასტურებს უცხოელის უფლებას, შემოვიდეს და იმყოფებოდეს საქართველოში ან ტრანზიტით გაიაროს საქართველოს ტერიტორია ბინადრობის ნებართვის მოქმედების პერიოდში. იგი ასევე, უფლებას იძლევა, რომ ნებართვის მფლობელმა საქართველოში მოიწვიოს უცხო ქვეყნის სხვა მოქალაქე.



ბინადრობის ნებართვის მისაღებად უცხოელმა პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით განცხადებით უნდა მიმართოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს¹ ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს, იუსტიციის სახლის² ფილიალს, საზოგადოებრივ ცენტრს³ ან სახლიდან გაუსვლელად ელექტრონულად შეავსოს განცხადი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისტანციური მომსახურების სამსახურის მეშვეობით,

ვებგვერდიდან: <http://intpass.cra.ge>. განცხადება და თანდართული დოკუმენტები უფლებამოსილ ორგანოებს წარედგინებათ საქართველოს სახელმწიფო ენაზე. განცხადების მიღება, ასევე შესაძლებელია ინგლისურ და რუსულ ენებზეც. ამასთან, უცხოელის პასპორტი სააგენტოს შეიძლება წარედგინოს ქართულენოვანი თარგმანის გარეშე, თუ იგი შეიცავს უცხოელის პერსონალურ მონაცემებს ლათინური ტრანსლიტერაციით.

საქართველოში გაიცემა შემდეგი სახის ბინადრობის ნებართვები:

- **შრომითი ბინადრობის ნებართვა** გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნესით საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად, აგრეთვე თავისუფალი პროფესიის ადამიანზე;
- **სასწავლო ბინადრობის ნებართვა** გაიცემა საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მიზნით;
- **ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების მიზნით** გაიცემა ბინადრობის ნებართვის მქო-

¹ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ 48-ე გვერდზე.

² იუსტიციის სახლი არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. იუსტიციის სახლის ფილიალების საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ 48-ე გვერდზე.

³ საზოგადოებრივი ცენტრების საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ 48-ე გვერდზე.

ნე უცხოელის და/ან იმ პირის ოჯახის წევრებზე, რომელსაც საქართველოში მიენიჭა მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი. ოჯახის წევრებად ითვლებიან მეუღლე, შვილი და მშობელი; აგრეთვე, მათი მზრუნველობის (მეურვეობის) ქვეშ ან/და სრულ ყმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი, ქმედუენარო ან შრომისუენარო პირი;

- **საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვა** გაიცემა უცხოელზე, რომელსაც შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა;
- **მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ნებართვა** გაიცემა პირზე, რომელსაც საქართველოში დაუდგინდა მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი;
- **სპეციალური ბინადრობის ნებართვა** გაიცემა უცხოელზე, რომლის შესახებაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი შეიძლება იყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი ან დაზარალებული. ასეთი შემთხვევები განსაზღვრულია „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით; სპეციალური ბინადრობის ნებართვა ასევე გაიცემა უცხოელზე, რომელზედაც საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე წერილობით ინიციატივას წარადგენს საქართველოს მთავრობის წევრი; გაძევებას დაქვემდებარებულ უცხოელზე, დროებითი ყოფნის უფლების მინიჭებიდან 5 წლის შემდეგ და უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოს მოქალაქეზე;
- **მუდმივი ცხოვრების ნებართვა** გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, მშობელსა და შვილზე. აგრეთვე უცხოელზე, რომელმაც საქართველოში, დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე, იცხოვრა ბოლო 6 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი;
- **საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა** გაიცემა უცხოელზე, რომელმაც საქართველოში განახორციელა არანაკლებ 300 000 ლარის ოდენობის ინვესტიცია „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში ბინადრობის ნებართვა ასევე გაიცემა მისი ოჯახის წევრებზეც. ოჯახის წევრებად ითვლებიან უცხოელის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და მის სრულ ყმაყოფაზე მყოფი ქმედუენარო ან შრომისუენარო პირი;
- **დროებითი ბინადრობის ნებართვა** გაიცემა უცხოელზე, რომელსაც „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს მსხვერპლის სტატუსი.
- **მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა** გაიცემა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერი-

გორიაზე, საქართველოს ჯანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ტიპის რეზულტა ალემატება 35 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში და მისი ოჯახის წევრებზე.

საქართველოში ჯანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელს, რომელსაც აქვს ზემოაღნიშნული რომელიმე სახის ბინადრობის ნებართვა, უფლება აქვს, მიიღოს სხვა სახის ბინადრობის ნებართვა თუ იგი შესაბამისი სახის ბინადრობის ნებართვის გასაცემად დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

სასწავლო, შრომითი, ოჯახის გაერთიანების, საქართველოს ყოფილი მოქალაქის, მოქალაქეობის არმქონე პირის, სპეციალური, დროებითი და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა გაიცემა დროებითი ცხოვრების უფლებით, **6 წლამდე ვადით**. ასეთი ტიპის ბინადრობის ნებართვები პირველად გაიცემა 1 წლამდე ვადით, ხოლო მისი გაგრძელება შესაძლებელია 5 წლამდე ვადით.

საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა, მუდმივი ცხოვრების ნებართვა და მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ნებართვა გაიცემა უვადოდ. მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ნებართვა მუდმივი ცხოვრების უფლებით გაიცემა მხოლოდ ისეთ პირებზე, რომელთაც საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდათ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის გზით, ან რომლებიც 1993 წლის 31 მარტისთვის მუდმივად ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს მოქალაქედ არ ჩაითვალნენ და 1993 წლის 31 მარტის შემდეგ არ მოხსნილან საქართველოში მუდმივი რეგისტრაციიდან.

ბინადრობის ნებართვას გასცემს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარდგენიდან **30 დღის ვადაში**. თუმცა, მომსახურების მიღება დაჩქარებულ ვადებშიც შესაძლებელია, რომლის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდებზე: www.sda.gov.ge; www.psh.gov.ge.

უცხოელზე, რომელმაც საქართველოში მიიღო ბინადრობის ნებართვა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო გასცემს ბინადრობის ელექტრონულ მოწმობას. ბინადრობის მოწმობა არის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქართველოში მცხოვრები უცხოელის ვინაობას, მის მოქალაქეობასა და საცხოვრებელ ადგილს საქართველოს ტერიტორიაზე.

შენიშვნა:

უცხოელი ვადებულისა, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღებიდან 1 თვის ვადაში ბინადრობის მოწმობის ასაღებად მიმართოს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, იუსტიციის სახლის ფილიალს ან საზოგადოებრივ ცენტრს.

ბინადრობის ნებართვის მოქმედება შეწყდება, თუ უცხოელი ბინადრობის ნებართვის მიღებიდან 6 თვის ვადაში ბინადრობის მონმობის ასატებად არ მიმართავს უფლებამოსილ ორგანოს.

ბინადრობის ნებართვისა და მონმობის გაცემის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდებზე: www.sda.gov.ge; www.psh.gov.ge; www.centri.gov.ge.





უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსი ენიჭება საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში; ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელსაც აქვს საქართველოდან წარმომავლობა ან/და რომლის მშობლიური ენა მიეკუთვნება ქართველურ-კავკასიურ ენებს.

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მიღების უფლება ვრცელდება აღნიშნული სტატუსის მაძიებელი პირის ახლო ნათესავებზე (მეუღლე და შვილი). ასეთ შემთხვევაში მათზე არ ვრცელდება საქართველოდან წარმომავლობის ან/და მათი მშობლიური ენის ქართველურ-კავკასიური ენებისადმი კუთვნილების დადასტურების ვალდებულება.

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელი პირი განცხადებას პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით წარადგენს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ან იუსტიციის სახლის

ფილიალში. უცხოეთში მყოფ პირს შეუძლია განცხადება წარუდგინოს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას ან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისტანციური მომსახურების სამსახურის მეშვეობით, ვებ-პერდიდან: <http://intpass.cra.ge>.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მიღების შესახებ განცხადებას განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს განცხადების მიღებიდან 80 დღის ვადაში. სტატუსის მინიჭების შემდეგ, დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში, გაიცემა უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი – უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა.

შენიშვნა:

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა 20 წლამდე ასაკის პირზე გაიცემა 3 წლის ვადით, 20-დან 65 წლამდე ასაკის პირზე – 10 წლის ვადით, ხოლო 65 წელზე მეტი ასაკის პირზე – უვადოდ. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობის მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში მფლობელს უფლება აქვს, ახალი მოწმობის გაცემის მოთხოვნით მიმართოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

თანამემამულის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოს მოქალაქე სარგებლობს **შემდეგი პრივილეგიებით:**

- სპორტის შესაბამის სახეობაში საერთაშორისო ფედერაციის თანხმობის შემთხვევაში უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს სპორტულ შეჯიბრებაში საქართველოს სახელით, ეროვნული ნაკრები გუნდის შემადგენლობაში;
- თუ ის არის იმ სახელმწიფოს მოქალაქე, რომლის მოქალაქეებსაც საქართველოში შემოსასვლელად ვიზა ესაჭიროებათ, უფლებამოსილია ვიზის გარეშე გადმოკვეთოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და იმყოფებოდეს საქართველოს ტერიტორიაზე არაუმეტეს 30 დღისა;
- საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე განცხადების შეტანისას მომსახურების საფასურს იხდის საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შეღავათიანი პირობებით;
- უფლებამოსილია, ჟანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით საქართველოში მიიღოს ზოგადი და უმაღლესი განათლება;
- საჯარო სამსახურში შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, თუ აკმაყოფილებს ჟანონით დადგენილ მოთხოვნებს;
- შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ დიასპორისთვის განკუთვნილ სხვადასხვა მიზნობრივ პროგრამაში.

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მოპოვებისა და მოწმობის გაცემის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდებზე:

<http://intpass.cra.ge/ComPatriotPassportDefault.aspx>; www.psh.gov.ge.



მოქალაქეობის არმქონე პირი არის პირი, რომელსაც არც ერთი სახელმწიფო არ მიიჩნევს თავის მოქალაქედ საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსს ადგენს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. სტატუსის დადგენის მიზნით დაინტერესებულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს, იუსტიციის სახლის ფილიალს ან საზოგადოებრივ ცენტრს.

სტატუსის დადგენის შესახებ განცხადების წარდგენის უფლება აქვს 18 წელს მიღწეულ ქმედუნარიან პირს. 18 წლამდე პირთა საკითხი განიხილება მათი კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. განცხადებას უნდა დაერთოს 2 ფოტოსურათი, უცხო ქვეყნის მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი ან სამგზავრო დოკუმენტი და სხვა ნებისმიერი საბუთი, რომლითაც შესაძლოა დადასტურდეს სტატუსის მაძიებლის მოქალაქეობის არქონის ფაქტი და მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. წარსადგენი დოკუმენტების არქონის შემთხვევაში, განცხადებაში უნდა მიეთითოს დოკუმენტის არქონის მიზეზი.

განცხადებაში უნდა აღინიშნოს სტატუსის მაძიებლის შემდეგი ძირითადი მონაცემები:

საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელი, გვარი, ხოლო შეცვლის შემთხვევაში – შეცვლამდე არსებული სახელი და გვარიც, წინა მოქალაქეობა, სქესი, დაბადების ადგილი და თარიღი, დედის ქორწინებამდელი და ქორწინების შემდგომი გვარი);

- უცხო ქვეყნის მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი ან სამგზავრო დოკუმენტის რეკვიზიტები (დოკუმენტის სახე და ნომერი, მოქმედების ვადა, გაცემის ადგილი და თარიღი, გამცემი ორგანო);
- ოჯახური მდგომარეობა, ქორწინების თარიღი, შვილების მოქალაქეობა და დაბადების ადგილი, მეუღლის (ყოფილი მეუღლის) სახელი, გვარი და მოქალაქეობა;
- ბინადრობის ქვეყნები და ამ ქვეყნებში ბინადრობის პერიოდი;
- განათლება;
- სამუშაო ადგილი;
- ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი.

საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირს მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების განმავლობაში საქართველოში ყოფნის ვადა საპატიოდ ეთვლება.

მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მაძიებელზე სააგენტო 1 წლის ვადით გასცემს **დროებით საიდენტიფიკაციო მოწმობას**, რომელიც ავტომატურად უქმდება სტატუსის დადგენის ან დადგენაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა არის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გაიცემა თავშესაფრის მაძიებელ, საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მაძიებელსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა პირებზე.

სტატუსის დადგენის შესახებ განცხადება განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება 6 თვის ვადაში. სააგენტო უფლებამოსილია, სტატუსის დადგენის შესახებ საკითხის განხილვისა და გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი გარემოების დადგენისა და საჭირო დოკუმენტის/ინფორმაციის მოპოვების მიზნით განცხადების განხილვის ვადა გააგრძელოს არა უმეტეს 3 თვით.



სტატუსის დადგენის შესახებ დადებითი გადაწყვეტილება ავტომატურად გულისხმობს მოქალაქეობის არმქონე პირისთვის ბინადრობის ნებართვის მინიჭებას. სტანდარტულ შემთხვევებში დროებითი ბინადრობის ნებართვა და შესაბამისი მოწმობა გაიცემა 3 წლის ვადით. ხოლო უვადოდ გაიცემა პირზე, რომელიც გასულია საქართველოს მოქალაქეობიდან ან, რომელიც 1993 წლის 31 მარტისათვის მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში, საქართველოს მოქალაქედ არ ჩაითვალა და 1993 წლის 31 მარტის შემდეგ არ მოხსნილა საქართველოში მუდმივი რეგისტრაციიდან.

ბინადრობის მოწმობის მიღების შემდეგ მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვს, საქართველოდან გასვლის, საზღვარგარეთ გადაადგილებისა და საქართველოში შემოსვლის მიზნით აიღოს **სამგზავრო პასპორტი**.

სამგზავრო პასპორტის მიღების მიზნით მოქალაქეობის არმქონე პირმა უნდა მიმართოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, იუსტიციის სახლის ფილიალს ან საზოგადოებრივ ცენტრს.

მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენისა და შესაბამისი დოკუმენტების გაცემის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდებზე: www.sda.gov.ge;

www.psh.gov.ge; www.centri.gov.ge.

საქართველოში მყოფი უცხოელი ვალდებულია, დატოვოს საქართველოს ტერიტორია ჯანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვამდე.

თუ უცხოელი დადგენილ ვადაში ვერ ტოვებს საქართველოს ტერიტორიას, ჯანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია, მას გადაუვადდეს საქართველოდან გასვლის ვალდებულება. საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადების თაობაზე უცხოელმა განცხადებით უნდა მიმართოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს ან იუსტიციის სახლის ფილიალს.

საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადება შესაძლებელია:

- თუ უცხოელს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში შეტანილი აქვს განცხადება საქართველოში ბინადრობის ნებართვის მისაღებად ან საქართველოს მოქალაქეობის მოსაპოვებლად;
- ავადმყოფობის ან ორსულობის შემთხვევაში, როდესაც ექიმის დასკვნის მიხედვით, პირის მგზავრობა საფრთხეს შეუქმნის მის ჯანმრთელობას. ასეთ შემთხვევაში მასთან შეიძლება დარჩნენ მისი ოჯახის წევრები და თანმხლები პირები;
- საქართველოს საერთო სასამართლოში მიმდინარეობს საქმისწარმოება უცხოელის მონაწილეობით და საქართველოში მის ყოფნას არსებითი მნიშვნელობა აქვს მისი ინტერესების დასაცავად;
- საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტისას უცხოელი იძულებული ხდება, გაჩერდეს საქართველოს ტერიტორიაზე 10 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში; ასეთ შემთხვევაში იძულებით გაჩერებად ჩაითვლება:
 - ბუნებრივი მოვლენა, რომელიც აფერხებს მატარებლის, ავტოტრანსპორტის, გემის ან თვითმფრინავის მოძრაობას;
 - სატრანსპორტო საშუალების აუცილებელი რემონტი ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა;
 - ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან მეორეში გადაჯდომის შეფერხება;
 - სხვა შემთხვევა, როდესაც შეუძლებელია ერთი ადგილიდან მეორეზე შეუფერხებლად გადაადგილება;
- საქართველოს სამინისტროს ან სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ჯომპეტენტური პირის მიმართვის საფუძველზე.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, უცხოელს საქართველოდან გასვლის ვალდებულება შესაძლებელია გადაუვადდეს ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით. მოთხოვნის დასაბუთებაში უნდა ფიგურირებდეს იგივე მიზანი, რის გამოც მას თავდაპირველად მიეცა საქართველოში ყოფნის ნებართვა.

შენიშვნა:

უცხოელმა, რომელსაც სააგენტოში შეტანილი აქვს განცხადება საქართველოში ბინადრობის ნებართვის მისაღებად ან საქართველოს მოქალაქეობის მოსაპოვებლად, საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადების შესახებ სააგენტოს უნდა მიმართოს მისი ლეგალურად ყოფნის ვადის ამოწურვამდე 7 კალენდარული დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში მას საქართველოდან გასვლის ვალდებულება შესაძლებელია გადაუვადდეს ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით.

უცხოელისთვის საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

შენიშვნა:

უცხოელი, რომელსაც ამოეწურა საქართველოში ჯანონიერად ყოფნის ვადა და ნებაყოფლობით გოვებს ქვეყანას, ვალდებულია, საქართველოდან გასვლამდე ან გასვლის შემდეგ გადაიხადოს საქართველოს ჯანონმდებლობით დადგენილი ჯარიმა (ჯარიმის ოდენობა ჯანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვიდან 3 თვის განმავლობაში არის 180 ლარი, ხოლო 3 თვეზე მეტხანს ყოფნისას – 360 ლარი). ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში უცხოელზე არ გაიცემა საქართველოს ვიზა და მას უარი ეთქმება საქართველოში შემოსვლაზე. ვიდრე იგი არ გადაიხდის აღნიშნულ ჯარიმას. უცხოელს, რომლის მიმართაც განხორციელდა გაძევების იძულებითი აღსრულება, ჯარიმის დაკისრებათან ერთად, აეკრძალება საქართველოში შემოსვლა 2-5 წლამდე ვადით.

საქართველოს მოქალაქეობა არის პირის სამართლებრივი ჯავშირი საქართველოსთან. კონსტიტუციით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევის გარდა, საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება იმავდროულად იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება ხდება დაბადებით ან ნატურალიზაციით.

საქართველოს მოქალაქეობის დადგენა

საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება:

- პირი, რომლის დაბადების მომენტისათვის მისი ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა;
- საქართველოს ტერიტორიაზე ექსტრაჟორპორული განაყოფიერების შედეგად (სუროგაციით) დაბადებული პირი, თუ მისი არცერთი მშობლის მოქალაქეობის ქვეყანა მას საყუთარ მოქალაქედ არ მიიჩნევს;
- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა შვილი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დაიბადა;
- საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული პირი, რომლის ერთ-ერთი მშობელი საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მეორე მშობელი უცნობია.

არასრულწლოვანი პირი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს და რომლის ორივე მშობელი უცნობია, საქართველოს მოქალაქედ მიიჩნევა, ვიდრე საწინააღმდეგო არ დადგინდება.

გარდა ზემოაღნიშნული პირებისა, საქართველოს მოქალაქეებად მიიჩნევიან:

1. 1975 წლის 31 მარტამდე დაბადებული პირები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ ჯამში არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, 1993 წლის 31 მარტისთვის იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და რომლებსაც არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;
2. 1975 წლის 31 მარტის შემდეგ დაბადებული პირები, რომლებიც 1993 წლის 31 მარტისთვის ცხოვრობდნენ საქართველოში და რომლებსაც არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;
3. საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული პირები, რომლებმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დატოვეს საქართველოს ტერიტორია და ამდენად, ვერ აკმაყოფილებენ 1-ელ და 2-ე პუნქტების მოთხოვნებს, თუ მათ არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

დაინტერესებული პირი განცხადებას საქართველოს მოქალაქეობის დადგენის თაობაზე პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით წარადგენს სახელმწიფო სერვისების

განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში, იუსტიციის სახლის ფილიალში ან საზოგადოებრივ ცენტრში; ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები პირი – საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში.

საქართველოს მოქალაქეობის დადგენა ხდება:

- საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემისას;
- დაბადების რეგისტრაციისას;
- საცხოვრებელი ადგილის მიხედვით პირის რეგისტრაციისას;
- საქართველოს მოქალაქეობის დადგენის შესახებ დასკვნის მოთხოვნისას.

დასკვნას საქართველოს მოქალაქეობის დადგენის შესახებ გაცემს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება ნატურალიზაციით

ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებით, რაც დასტურდება პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით.

საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების სახეობა:



- საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭება;
- საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება;
- საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება;
- საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭება.

ჩვეულებრივი წესით საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭება სრულწლოვან პირს, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

1. საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 5 წლის განმავლობაში ჟანონიერად და უწყვეტად ცხოვრობდა საქართველოში (საქართველოს ტერიტორიაზე ჟანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტია საქართველოს ვიზა, ბინადრობის ნებართვა ან მოწმობა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის დამადასტურებელი თარიღ-დამლა);

2. დადგენილ ფარგლებში ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას (ცოდნის შემოწმება ხდება სპეციალურ კომისიაზე ტესტირების მეშვეობით);
3. დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები (ცოდნის შემოწმება ხდება სპეციალურ კომისიაზე ტესტირების მეშვეობით);
4. საქართველოში მუშაობს, ან/და საქართველოში აქვს უძრავი ქონება, ან საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ან საქართველოს საწარმოში ფლობს წილს ან აქციებს.

საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭებისას ჩამოთვლილი პირობებიდან მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება ქმედუნარო პირებზე, ხოლო მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები იმ პირებზე, რომელთა ფიზიკური ნაკლის გამო შეუძლებელია შემოწმდეს, ატყუდობა თუ არა იგი აღნიშნული პუნქტების მოთხოვნებს. მე-4 პუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება ლტოლვილის სტატუსის მქონე პირისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭებისას.

არასრულწლოვან პირს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა დაბადებით არ მოუპოვებია, ჩვეულებრივი წესით საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭება, თუ მისი ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა ან თუ იგი საქართველოს მოქალაქემ შვილად აიყვანა.

საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებულ ლტოლვილის სტატუსის მქონე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვან პირს, რომელიც საქართველოში 5 წლის განმავლობაში ცხოვრობს, საქართველოს მოქალაქეობა ჩვეულებრივი წესით მიენიჭება.

უცხო ქვეყნის მოქალაქეს უფლება აქვს, მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭების მოთხოვნით. უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ძალაში შედის საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ ამ პირის სხვა ქვეყნის მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებისთანავე.

გამარტივებული წესით საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭება საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებულ პირს, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში. ზემოაღნიშნულ პირობასთან ერთად, მას მოეთხოვება საქართველოს სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების დადგენილ ფარგლებში ცოდნა.

საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეიძლება მიენიჭოს სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს ან რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

საგამონაჯლოსო წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისას საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ პირობებს ადგენს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობის საკითხთა კომისია. პირობების დადგენის მიზნით კომისია უფლებამოსილია, აღნიშნული პირი მოიწვიოს გასაუბრებაზე.

აღდგენის წესით საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭება პირს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა:

1. არამართლზომიერად;
2. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლით;
3. მშობლის/მშობლების არჩევის შედეგად.

აღდგენის წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისთვის დაინტერესებული პირი დადგენილ ფარგლებში უნდა ფლობდეს საქართველოს სახელმწიფო ენას.

აღდგენის წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისას პირს არ მოეთხოვება დადგენილ ფარგლებში სახელმწიფო ენის ცოდნა, თუ მას საქართველოს მოქალაქეობა არამართლზომიერად შეუწყდა. აღნიშნული მოთხოვნა, ასევე, არ ვრცელდება ქმედუნარო პირისა და იმ პირის მიმართ, რომლის ფიზიკური ნაქლის გამო შეუძლებელია შემოწმდეს, აჟამყოფილებს თუ არა იგი აღნიშნულ მოთხოვნას.

დაინტერესებული პირი განცხადებას საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით წარადგენს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში, იუსტიციის სახლის ფილიალში ან საზოგადოებრივ ცენტრში, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები პირი – საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში ან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისტანციური მომსახურების სამსახურის მეშვეობით, ვებგვერდიდან: <http://intpass.cra.ge>.

სხვა ქვეყნის მოქალაქისთვის აღდგენის წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ძალაში შედის საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ ამ პირის სხვა ქვეყნის მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებისთანავე.

საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციით მოპოვებაზე განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა არ უნდა აღემატებოდეს **3 თვეს**.

საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პირს უფლება აქვს, 6 თვის შემდეგ იმავე საფუძვლით კიდევ ერთხელ მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს.

მოქალაქეობის მოპოვებისა და შესაბამისი დოკუმენტების გაცემის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდებზე: www.sda.gov.ge; www.psh.gov.ge; www.centri.gov.ge.



ლტოლვილის სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, იმყოფება საქართველოში, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო და ამგვარი შიშიდან გამომდინარე, არ შეუძლია ან არ სურს, დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით.

თუ ლტოლვილის სტატუსის მინიჭების სურვილს გამოთქვამს პირი, რომელიც ჯანონიერად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, იგი ვალდებულია განცხადებით პირა-

დად მიმართოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს.¹

ჰუმანიტარული სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი და რომელიც:

- იძულებული იყო, დაეტოვებინა თავისი წარმოშობის ქვეყანა ძალადობის, გარე აგრესიის, ოკუპაციის, შიდა კონფლიქტების, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის ან საზოგადოებრივი წესრიგის მნიშვნელოვანი დარღვევის გამო;
- საქართველოს მიერ ნაყისრი საერთაშორისო ვალდებულებებით, არ შეიძლება იძულებით დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში და არ შეუძლია გაემგზავროს სხვა ქვეყანაში. აღნიშნულ ვალდებულებებს შორისაა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა) და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო აქტიდან გამომდინარე არგაძევების სხვა ვალდებულებები;
- ვერ ბრუნდება წარმოშობის ქვეყანაში, რადგან იქ სერიოზული საფრთხე ემუქრება მის სიცოცხლეს, უსაფრთხოებას ან/და უფლებების დაცვას;

¹ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ მე-40 გვერდზე.

- იძულებული გახდა, გადაადგილებულიყო საქართველოს შიგნით, მაგრამ არ ეკუთვნის დევნილის სტატუსი „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- საქართველოში შემოვიდა მოსახლევრე წარმოშობის ქვეყნიდან, იქ მომხდარი სტიქიური უბედურების გამო;
- საჭიროებს სხვა სარწმუნო ჰუმანიტარულ დახმარებას.

ჰუმანიტარული სტატუსი პირს **1 წლის ვადით** ენიჭება და შეიძლება გაგრძელდეს, თუ კვლავ არსებობს გარემოებები, რომელთა საფუძველზეც მიენიჭა აღნიშნული სტატუსი.

თავშესაფრის მოთხოვნა არის პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ, ზეპირად ან წერილობით გამოხატული სურვილი საქართველოში სამართლებრივი დაცვისა, რომელიც გამომდინარეობს ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების ზემოთ ჩამოთვლილი საფუძვლებიდან.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის შემთხვევაში პირი **ვალდებულია, 24 საათის განმავლობაში** მიმართოს პირველივე სახელმწიფო ორგანოს თავშესაფრის მოთხოვნით. ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებული თავშესაფრის მოთხოვნა ფიქსირდება წერილობითი ფორმით, რომლის ასლიც 3 დღის განმავლობაში ეგზავნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და განმცხადებელს.

საქართველოში მყოფი თავშესაფრის მაძიებლის განცხადების წინასწარი განხილვა ხდება 10 დღის განმავლობაში, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილება პირის თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.


თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრირებულ პირზე გაიცემა **დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა** 1 წლის ვადით. ამ დოკუმენტის საფუძველზე თავშესაფრის მაძიებელი ისარგებლებს განათლების, სამედიცინო თუ სოციალური დახმარების, შრომითი მოწყობისა და სხვა უფლებებით.

შენიშვნა:

თავშესაფრის მაძიებლის საქართველოდან გაქცევა დაუშვებელია სტატუსის მინიჭების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

სამინისტრო განცხადებას განიხილავს თავშესაფრის მაძიებელი პირის რეგისტრაციიდან 6 თვის განმავლობაში. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 3 თვით, რის

შესახებაც სტატუსის მაძიებელ პირს ეცნობება წერილობით. სტატუსის დადგენის პროცედურა მოიცავს შემდეგ საფეხურებს:




დროებითი ბინადრობის მოწმობის ან სამგზავრო დოკუმენტის მიღების მოთხოვნით ტოლვილის სტატუსის მქონე პირმა უნდა მიმართოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, იუსტიციის სახლის ფილიალს ან საზოგადოებრივ ცენტრს.

ტოლვილის სამგზავრო დოკუმენტი გაცემა **10 სამუშაო დღის ვადაში უფასოდ**, 2 წლის მოქმედების ვადით.

ტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირს უფლება აქვს:

- დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში ან გაემგზავროს სხვა ქვეყანაში;
- ისარგებლოს სამედიცინო დახმარებით;
- ისარგებლოს სოციალური დახმარებით;
- საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე განცხადებით მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს;
- ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით უცხოელისათვის მინიჭებული სხვა უფლებებით.



ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მოპოვებისა და შესაბამისი დოკუმენტების გაცემის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდებზე: www.mra.gov.ge; www.psh.gov.ge.

მიგრაციის მართვა საქართველოში – მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

2010 წლის 13 ოქტომბერს შეიქმნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. იგი არის მთავრობის სათათბირო ორგანო, რომელიც მსჯელობს და გადაწყვეტილებებს იღებს მიგრაციის მართვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე. კომისიას, რომელიც აერთიანებს 12 სახელმწიფო უწყებას, თავმჯდომარეობს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო თანათავმჯდომარეა შინაგან საქმეთა სამინისტრო.

თავისი არსებობის მანძილზე კომისია იქცა მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მთავარ პლატფორმად და სხვადასხვა უწყებაში გადანაწილებული კომპეტენციების კოორდინირების ეფექტიან ინსტრუმენტად. დამატებითი ექსპერტიზით უზრუნველყოფისა და თანამშრომლობის ფორმატის განვითარების თვალსაზრისით, 2013 წელს კომისიაში საკონსულტაციო სტატუსი მიენიჭა მიგრაციის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ კომისიის სამდივნოსთან.

კომისიას ანალიტიკურსა და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში ევროკავშირის რეკომენდაციითა და მხარდაჭერით მოქმედი სამდივნო.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიისა და მისი სამდივნოს საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ კომისიის ვებგვერდზე: www.migration.commission.ge.

ჯომისიის წვერი სახელმწიფო უწყებები (აზიანის მიხედვით)

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მის: 0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52
ტელ: +995 322 200 220
ელფოსტა: pr@mes.gov.ge
ვებგვერდი: www.mes.gov.ge

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

მის: 0134 ქ. თბილისი, ტეონიძის ქ. №3
ტელ: +995 322 181 370
ელფოსტა: info@diaspora.gov.ge
ვებგვერდი: www.diaspora.gov.ge

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

მის: 0134 ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7
ტელ/ფაქსი: +995 322 932 867
ელფოსტა: office@eu-nato.gov.ge
ვებგვერდი: www.eu-nato.gov.ge

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მის: 0108 ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №12
ტელ: +995 322 991 111
ელფოსტა: ministry@economy.ge
ვებგვერდი: www.economy.ge

იუსტიციის სამინისტრო

მის: 0114 ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. №24ა
ტელ: +995 322 405 087
ელფოსტა: press-center@justice.gov.ge
ვებგვერდი: www.justice.gov.ge

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ტოლვით სამინისტრო

მის: 0177 ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №15ა
ტელ: +995 322 311 598
ელფოსტა: info@mra.gov.ge
ვებგვერდი: www.mra.gov.ge

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

მის: 0160 ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის ქ. №12
ტელ: +995 322 510 710
ელფოსტა: press@mrđi.gov.ge
ვებგვერდი: www.mrdi.gov.ge

საგარეო საქმეთა სამინისტრო

მის: 0118 ქ. თბილისი, შ. ჩიტაძის ქ. №4
ტელ: +995 322 945 005
ელფოსტა: inform@mfa.gov.ge
ვებგვერდი: www.mfa.gov.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მის: 0180 ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. №30
ტელ: +995 322 367 210, დამ. 110
ელფოსტა: info@geostat.ge
ვებგვერდი: www.geostat.ge

ფინანსთა სამინისტრო

მის: 0114 ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16
ტელ: +995 322 261 330
ელფოსტა: info@mof.ge
ვებგვერდი: www.mof.gov.ge

შინაგან საქმეთა სამინისტრო

მის: 0114 ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №10
ტელ: +995 322 411 158
ელფოსტა: miapr@mia.gov.ge
ვებგვერდი: www.police.ge

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მის: 0119 ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. №144
ტელ: +995 322 510 012
ელფოსტა: info@moh.gov.ge
ვებგვერდი: www.moh.gov.ge

საქონსუბსტიტუციური სტატუსის მქონე ორგანიზაციები (აზიის მხედველი)

გაერო-ს ტოლერანტობა უმეტესი კომისარიატი

მის: 0160 ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №2ა
ტელ: +995 322 386 202
ელფოსტა: geotb@unhcr.org
ვებგვერდი: www.unhcr.org

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება

მის: 0105 ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. №31
ტელ: +995 322 201 800
ელფოსტა: migration-georgia@cimonline.de
ვებგვერდი: <http://migration-georgia.alumniportal.com/project-components/return-to-georgia.html>

ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში

მის: 0102 ქ. თბილისი, ნინო ჩხეიძის ქ. №38
ტელ: +995 322 943 763/ +995 322 943 769
ელფოსტა: Delegation-Georgia@eeas.europa.eu
ვებგვერდი: <http://eeas.europa.eu/delegations/georgia>

ტოლერანტობა დანის საბჭო

მის: 0162 ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. №88
ტელ: +995 322 232 437
ელფოსტა: drc@drc-sc.org
ვებგვერდი: <http://drc.dk/relief-work/where-we-work/caucasus/georgia/>

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

მის: 0162 ქ. თბილისი, თენგიზ აბულაძის ქ. №19
ტელ: +995 322 252 216
ელფოსტა: iomtbilisi@iom.int
ვებგვერდი: www.iom.ge; www.informedmigration.ge

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი

მის: 0102 ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №6,
პირველი სართული
ტელ: +995 322 904 098
ელფოსტა: enigma@icmpd.org
ვებგვერდი: www.enigmma.ge

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

მის: Switzerland, CH-1211 Geneve 22, №4 route des Morillons
ტელ: +41 227 996 111
ელფოსტა: ilo@ilo.org
ვებგვერდი: www.ilo.org

ინოვაციების და რეფორმების ცენტრი

მის: 0160 ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. №32
ტელ: +995 322 552 001/+995 322 552 002
ელფოსტა: info@irc.ge
ვებგვერდი: www.irc.ge

მიგრაციის ცენტრი

მის: 0114 ქ. თბილისი, ბერძნის ჩიხი №25
ტელ: +995 599 961 606/+995 591 110 007
ელფოსტა: migration-center@hotmail.com

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

მის: 0102 ქ. თბილისი, ჯანსუქ ქაჩიძის ქ. №15
ტელ: +995 322 936 101/ +995 322 952 353
ელფოსტა: gyla@gyla.ge
ვებგვერდი: www.gyla.ge

იურიდიული კონსულტაცია

მის: 0102 ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №101
ტელ: +995 322 995 076

საქართველოს გაერო-ს ასოციაცია

მის: 0171 ქ. თბილისი, დოლიძის ქ. №2
ტელ: +995 322 332 516/+995 322 335 216
ელფოსტა: una@una.ge
ვებგვერდი: www.una.ge

სამოქალაქო განვითარების სააგენტო

მის: 3700 ქ. რუსთავი, ფიროსმანის ქ. №9/1
ტელ: +995 341 258 824/+995 571 258 822
ელფოსტა: migrant_ge@hotmail.com; maia@cida.ge
ვებგვერდი: www.migrant.ge

საქართველოში მიგრაციის მარეგულირებელი ძირითადი ნორმატიული აქტებია:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ტკოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება 2013-2015 წლების საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ;

ჩამოთვლილთან ერთად, მიგრაციის მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტები შეგიძლიათ იხილოთ მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ვებგვერდზე: www.migration.commission.ge.

მიგრანტთა მხარდამჭერი პროგრამები

საქართველოში მოქმედი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები მიგრანტთა მხარდასაჭერად სხვადასხვა ხანგრძლივობისა და მასშტაბების პროექტებს ახორციელებენ. ქვემოთ მოყვანილია ამჟამად მიმდინარე რამდენიმე პროგრამა. გასათვალისწინებელია, რომ პროგრამათა ხანგრძლივობა განსხვავდება, ზოგიერთი მათგანი სრულდება, მაგრამ პერიოდულად იწყება ახალი ინიციატივებიც. რეკომენდებულია, რომ დაინტერესებულმა პირებმა მუდმივად ადევნონ თვალში შესაბამისი ორგანიზაციების ვებგვერდებს. აღნიშნული ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია 41-ე გვერდზე.

ტკოლვილთა და თავშესაფრის სტატუსის მაძიებელთათვის:

1) ტკოლვილთა განსახლება მესამე ქვეყანაში - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) იღებს და ამუშავებს უსაფრთხო მესამე ქვეყანაში მიმავალ ტკოლვილთა განცხადებებს და დახ-

მარებას უწევს მათ გასაუბრებისთვის მომზადებასა და მგზავრობის ორგანიზებაში. 2003 წლიდან დღემდე IOM-მა 300-ზე მეტ ლტოლვილს აღმოუჩინა დახმარება გამგზავრებაში;

2) ლტოლვილთა, მოქალაქეობის არმქონე და უსაბუთო პირების რეგისტრაცია და ინტეგრაცია - ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRC) სამართლებრივ დახმარებასა და ჯონსულტაციებს უწევს ლტოლვილებს, მოქალაქეობის არმქონე და უსაბუთო პირებს მათი უფლებებისა და არსებული შესაძლებლობების, ხელმისაწვდომი სახელმწიფო მომსახურებების, საქართველოს მოქალაქეობის მიღების საშუალებებისა და პროცედურების შესახებ;

3) ლტოლვილთა, მოქალაქეობის არმქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა ინტერესების დაცვა - გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) საქმიანობის მანდატია, ლტოლვილთა, მოქალაქეობის არმქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა პრობლემების გრძელვადიანი მოგვარება. ამავე პირთა ინტერესებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში საქართველოს გაერო-ს ასოციაცია (საგა) იცავს. თავშესაფრის მაძიებელთა რეგისტრაციაზე და/ან ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე, დაბადების ან საწარმოს რეგისტრაციაზე ჯანონდარღვევით უარის თქმის შემთხვევებში საგა აღძრავს სასამართლო საქმეებს, თავშესაფრის მყარად დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში კი, უზრუნველყოფს სასამართლო პროცესებში UNHCR-ის ექსპერტის სახით ჩართვას. გასაჩივრების შიდა მექანიზმების ამოწურვის შემდეგ, საგა რეკომენდაციას უწევს UNHCR-ს, მსგავსი საქმეები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივროს.



საქართველოს სასაზღვრო გამტარი პუნქტები

უცხოელები საქართველოში შემოდიან და საქართველოდან გადიან საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი სასაზღვრო გამტარი პუნქტებიდან, მიმოსვლისათვის დადგენილ საათებში.

გამტარი პუნქტი	მოსაზღვრე ქვეყანა	ჯაბავონია/სტატუსი
სარფი	თურქეთი	საავტომობილო/საერთაშორისო
ვალე	თურქეთი	საავტომობილო/საერთაშორისო
ნინოწმინდა	სომხეთი	საავტომობილო/საერთაშორისო
გუგუთი	სომხეთი	საავტომობილო/საერთაშორისო
ახერჰი	სომხეთი	საავტომობილო/სახელმწიფოთაშორისი ¹
სადახლო	სომხეთი	საავტომობილო/საერთაშორისო
	სომხეთი	სარკინიგზო/საერთაშორისო
წითელი ხიდი	აზერბაიჯანი	საავტომობილო/საერთაშორისო
მტკვარი/ვახტანგისი	აზერბაიჯანი	საავტომობილო/სახელმწიფოთაშორისი
სამთაწყარო	აზერბაიჯანი	საავტომობილო/სახელმწიფოთაშორისი
ლაგოდები/ცოდნა	აზერბაიჯანი	საავტომობილო/საერთაშორისო
გარდაბანი	აზერბაიჯანი	სარკინიგზო/საერთაშორისო
ყაზბეგი/დარიალი	რუსეთის ფედერაცია	საავტომობილო/საერთაშორისო

¹ სახელმწიფოთაშორისი სასაზღვრო გამტარი პუნქტის გავლით მიმოსვლა შეუძლიათ მხოლოდ საქართველოსა და მოსაზღვრე სახელმწიფოს მოქალაქეებს.

საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სამი საერთაშორისო აეროპორტი, რომლებშიც განთავსებულია სასაზღვრო გამტარი პუნქტები.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი

საკონტაქტო ინფორმაცია

ტელეფონი: +995 322 310 265; +995 322 310 341; +995 322 310 421.

ვებგვერდი: www.tbilisiairport.com

მისამართი: ქ. თბილისი 0158; სამგორის რ-ნი, აეროპორტის დასახლება, აეროპორტი.

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი

საკონტაქტო ინფორმაცია

ტელეფონი: +995 422 235 100; +995 422 235 102; +995 422 235 103.

ფაქსი: +995 422 235 101

ვებგვერდი: www.batumiairport.com

მისამართი: ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი, ბათუმი.

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი

საკონტაქტო ინფორმაცია

ტელეფონი: +995 431 237 000.

ელფოსტა: infodesk@airports.ge

მისამართი: ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, ქუთაისის მე-100 კმ.

საქართველოში უცხოეთის გემებისათვის განკუთვნილი ღია ნავსადგურებია:

- ბათუმის საზღვაო ნავსადგური
- სუფსის საზღვაო ნავსადგური
- ფოთის საზღვაო ნავსადგური
- ყულევის საზღვაო ნავსადგური

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის აღებაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მონაკვეთზე არსებული სასაზღვრო გამტარი პუნქტებია:

- განთიადი (სარკინიგზო)
- განთიადი (საავტომობილო)
- როკი (საავტომობილო)
- სოხუმი (საზღვაო პორტი)
- ოჩამჩირე (საზღვაო პორტი)



რუკაზე წარმოდგენილია საქართველოს სასაზღვრო გამტარი პუნქტები.

გაითვალისწინეთ! ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა დაშვებულია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე მხოლოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან, ხოლო ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე) მხოლოდ გორის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან. სხვა მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა უცხოელებისთვის აკრძალულია და ითვალისწინებს შესაბამის სანქციებს საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან.

საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მონაკვეთზე არსებულ სასაზღვრო გამტარ პუნქტებს საქართველოს ხელისუფლება ამჟამად ვერ აკონტროლებს, თუმცა ამ მონაკვეთების საჰაერო და საზღვაო სივრცის მონიტორინგი რეგულარულად ხორციელდება.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგალურად გადაადგილების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებგვერდზე: www.smr.gov.ge.



მიგრაციის სფეროში სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელი ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიული წარმომადგენლობები

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში, იუსტიციის სახლის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში შესაძლებელია საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ბინადრობის ნებართვის (მოწმობის) მიღება, თანამემამულის სტატუსის მოპოვების, მოქალაქეობის მინიჭებისა და შეწყვეტის შესახებ განცხადებით მიმართვა და სხვა მომსახურებით სარგებლობა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან არსებული მობილურობის ცენტრები ჯონსულტაციას უწევენ მიგრანტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების, იუსტიციის სახლის ფილიალებისა და საზოგადოებრივი ცენტრების საკონტაქტო ინფორმაცია ➡



თბილისი

თბილისის ოუსტიციის სახლი
სანაპიროს ქ. №2

სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტო (სსგს)
წერეთლის გამზირი, №67ა/ სანაპიროს ქ. №2

აჭარის ავტ./რესპუბლიკა

სსგს-ს ქედის ფილიალი
ქედა, 26 მაისის ქ. №2

სსგს-ს ქობულეთის ფილიალი
ქობულეთი, აღმაშენებლის ქ. №143

სსგს-ს შუახევის ფილიალი
შუახევი, ხიმშიაშვილის ქ. №2

სსგს-ს ხულოს ფილიალი
ხულო, ტბელ აბუსერისძის ქ. №5

ბათუმის ოუსტიციის სახლი
ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. №7

მუხაესტატეს საზოგადოებრივი ცენტრი
ქობულეთის მუნიც. სოფელი მუხაესტატე

გურია

სსგს-ს ლანჩხუთის ფილიალი
ლანჩხუთი, თბილისის ქ. №6

ოზურგეთის ოუსტიციის სახლი
ოზურგეთი, პეტრიძის ქ. №9

სსგს-ს ჩოხატაურის ფილიალი
ჩოხატაური, გურიის ქ. №1

ნიგოეთის საზოგადოებრივი ცენტრი
ლანჩხუთის მუნიც., სოფელი ნიგოეთი

ხიდისთავის საზოგადოებრივი ცენტრი
ჩოხატაურის მუნიც. სოფელი ხიდისთავი

აახეთი

სსგს-ს ახმეტის ფილიალი
ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ. №50

სსგს-ს ლაგოდეხის ფილიალი
ლაგოდეხი, თავისუფლების ქ. №14

სსგს-ს საგარეჯოს ფილიალი
საგარეჯო, ჯაფარიძის ქ. №2

გურჯაანის ოუსტიციის სახლი
გურჯაანი, თამარ მეფის ქ. №14

თელავის ოუსტიციის სახლი
თელავი, ერეკლე II-ის მოედანი №3

ყვარლის ოუსტიციის სახლი
ყვარელი, კუდიგორის ქ. №3

კაჭრეთის საზოგადოებრივი ცენტრი
გურჯაანის მუნიც. სოფელი კაჭრეთი

ნეკრიანის საზოგადოებრივი ცენტრი
სიღნაღის მუნიც. სოფელი ნეკრიანი

შაშიანის საზოგადოებრივი ცენტრი
გურჯაანის მუნიც. სოფელი შაშიანი

ყვარელწყლის საზოგადოებრივი ცენტრი
ახმეტის მუნიც., სოფელი ყვარელწყალი

შილდის საზოგადოებრივი ცენტრი
ყვარლის მუნიც. სოფელი შილდა

იმერეთი

სსგს-ს ბაღდათის ფილიალი
ბაღდათი, ვაჟა-ფშაველას ქ. №5

სსგს-ს ვანის ფილიალი
ვანი, თამარ მეფის ქ. №8

სსგს-ს ზესტაფონის ფილიალი
ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ. №4

კორბოულის საზოგადოებრივი ცენტრი
საჩხერის მუნიც. სოფელი კორბოული

სსგს-ს თერჯოლის ფილიალი
თერჯოლა, რუსთაველის ქ. №95

სსგს-ს სამტრედიის ფილიალი
სამტრედია, რუსთაველის ქ. №28

სსგს-ს საჩხერის ფილიალი
საჩხერე, თავისუფლების ქ. №4

სსგს-ს ტყიბულის ფილიალი
ტყიბული, ახოზაძის ქ. №12

სსგს-ს წყალტუბოს ფილიალი
წყალტუბო, რუსთაველის ქ. №25

სსგს-ს ჭიათურის ფილიალი
ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №7

სსგს-ს ხარაგაულის ფილიალი
ხარაგაული, დეჟანოსიძის ქ. №5

სსგს-ს ხონის ფილიალი
ხონი, თავისუფლების მოედანი №6ა

ქუთაისის ოუსტიციის სახლი
ქუთაისი, ირ. აბაშიძის ქ. №20

ხევის საზოგადოებრივი ცენტრი
ხარაგაულის მუნიც. სოფელი ხევი

შორაპნის საზოგადოებრივი ცენტრი
ზესტაფონის მუნიც. სოფელი შორაპანი

გეგუთის საზოგადოებრივი ცენტრი
წყალტუბოს მუნიც. სოფელი გეგუთი

კორბოულის საზოგადოებრივი ცენტრი
საჩხერის მუნიც. სოფ. კორბოული

ღორეშას საზოგადოებრივი ცენტრი
ხარაგაულის რ-ნი, სოფელი ღორეშა

მცხეთა-მთიანეთი

სსგს-ს დუშეთის ფილიალი
დუშეთი, სტალინის ქ. №27

სსგს-ს თიანეთის ფილიალი
თიანეთი, რუსთაველის ქ. №8

სსგს-ს მცხეთის ფილიალი
მცხეთა, მუხრანის ქ. №17

სსგს-ს ყაზბეგის ფილიალი
ყაზბეგი, დავით აღმაშენებლის ქ. №9

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

სსგს-ს ამბროლაურის ფილიალი
ამბროლაური, დავით აღმაშენებლის ქ. №24

სსგს-ს ლენტეხის ფილიალი
ლენტეხი, თამარ მეფის ქ. №24

სსგს-ს ონის ფილიალი
ონი, აღმაშენებლის მოედანი №1

სსგს-ს ცაგერის ფილიალი
ცაგერი, რუსთაველის ქ. №69

სამეგრელო-ზემო სვანეთი

სსგს-ს აბაშის ფილიალი
აბაშა, უჩა კაჭარავას ქ. №1

ზუგდიდის ოუსტიციის სახლი
ზუგდიდი, თეატრის ქ. №2

სსგს-ს მარტვილის ფილიალი
მარტვილი, თავისუფლების ქ. №14

სსგს-ს სენაკის ფილიალი
სენაკი, წმინდა ნინოს ქ. №11

სსგს-ს ფოთის ფილიალი
ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №26

წალენჯიხის ფილიალი

წალენჯიხა, თამარ მეფის ქ. №49

სსგს-ს ხობის ფილიალი

ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №92

მესტიის იუსტიციის სახლი

მესტია, ი. გაბლიანის ქ. №1

ჯვრის საზოგადოებრივი ცენტრი

წალენჯიხის მუნიც. სოფელი ჯვარი

ჭალადიდის საზოგადოებრივი ცენტრი

ხობის მუნიც. სოფელი ჭალადიდი

სამცხე-ჯავახეთი

სსგს-ს აღიგენის ფილიალი

აღიგენი, ა. ბალახაშვილის ქ. №19

სსგს-ს ასპინძის ფილიალი

ასპინძა, ვარძიის ქ. №117

სსგს-ს ახალქალაქის ფილიალი

ახალქალაქი, თამარ მეფის ქ. №44

სსგს-ს ბორჯომის ფილიალი

ბორჯომი, რუსთაველის მოედანი №1

სსგს-ს ნინოწმინდის ფილიალი

ნინოწმინდა, ჰუშკინის ქ. №43

ახალციხის იუსტიციის სახლი

ახალციხე, თამარაშვილის ქუჩა,
სკვერის მიმდებარედ

ფოკას საზოგადოებრივი ცენტრი

ნინოწმინდის მუნიც. სოფელი ფოკა

ქვემო ქართლი

სსგს-ს ბოლნისის ფილიალი

ბოლნისი, სულხან-საბას ქ. №106

სსგს-ს გარდაბნის ფილიალი

გარდაბანი, ლესელიძის ქ. №1

სსგს-ს დმანისის ფილიალი

დმანისი, წმინდა ნინოს ქ. №42

სსგს-ს თეთრიწყაროს ფილიალი

თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. №36

სსგს-ს წალკის ფილიალი

წალკა, არისტოტელეს ქ. №13

მარნეულის იუსტიციის სახლი

მარნეული, რუსთაველის ქ. №1

რუსთავის იუსტიციის სახლი

რუსთავი, ხალხთა მეგობრობის გამზ. №29

სართიჭალის საზოგადოებრივი ცენტრი

გარდაბნის მუნიც. სოფელი სართიჭალა

მანგლისის საზოგადოებრივი ცენტრი

თეთრიწყაროს მუნიც. სოფელი მანგლისი

კოდას საზოგადოებრივი ცენტრი

თეთრიწყაროს მუნიც. სოფელი კოდა

ჯაზრეთის საზოგადოებრივი ცენტრი

ბოლნისის რ-ნი, სოფელი ჯაზრეთი

შიდა ქართლი

გორის იუსტიციის სახლი

გორი, დ. გურამიშვილის ქ. №5

სსგს-ს ჟასპის ფილიალი

ჟასპი, დავით აღმაშენებლის ქ. №80

სსგს-ს ქარელის ფილიალი

ქარელი, სტალინის ქ. №24

სსგს-ს ხაშურის ფილიალი

ხაშური, კოსტავას ქ. №7

გომის საზოგადოებრივი ცენტრი

ხაშურის მუნიც. სოფელი გომი

რუისის საზოგადოებრივი ცენტრი

ქარელის მუნიც. სოფელი რუისი

მეჯვრისხევის საზოგადოებრივი ცენტრი

გორის მუნიც. სოფელი მეჯვრისხევი

პოტენციურ მიგრანტთა უონსულტაციისა და დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის სა-
კითხებთან დაკავშირებით შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტო-
რიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინის-
ტროს და მასთან არსებულ მობილურობის ცენტრებს:

მოზილურობის ცენტრი თბილისში

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, გან-
სახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №15ა
V სართული, ოთახები: 543, 545, 547;
ტელ.: +995 322 600 955

მოზილურობის ცენტრი ქუთაისში

მის: ქუთაისი, ვიქტორ კუპრიაძის ქ. №7;
ტელ.: +995 451 944 443

მოზილურობის ცენტრი თელავში

მის: თელავი, ერეკლე II ქ. №16
თელავის მუნიციპალიტეტის შენობა, მეორე სართული
ტელ.: +995 350 270 872

მოზილურობის ცენტრი ბათუმში

მის: ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №63
ტელ: +995 577 520 015

*მოზილურობის ცენტრი ფუნქციონირებს ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის –
„საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერება საზღვრისა და მიგრაციის მარ-
თვის მიმართულებით“ – ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს მიგრაციის საერთაშორისო
ორგანიზაცია (IOM).*

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები თავიანთი საკონსულო ოლქების ფარგლებში ეწევიან შემდეგ საქმიანობას: საქართველოს ვიზის გაცემა, ჯონსულტაციის გაწევა, სამართლებრივი დაცვა, შუამდგომლობა, საკონსულო ლეგალიზაცია, საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემა, საკონსულო აღრიცხვის წარმოება, სანოტარო მოქმედებების შესრულება და სხვა. დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მათ ევალებათ სამოქალაქო აქტებისა და საქართველოს მოქალაქეთა რეგისტრაცია, ასევე პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა.

→ ავსტრალიის თანამეგობრობაში საქართველოს საელჩო	
ფარავს შემდეგ ქვეყნებს/ტერიტორიებს: ავსტრალიის თანამეგობრობა, ახალი ზელანდია, სამოას დამოუკიდებელი სახელმწიფო, ფიჯის რესპუბლიკა, სოლომონის კუნძულები, ვანუატუს რესპუბლიკა, ტუვალუ. სავიზო განცხადების მიზნებისთვის: კირიბატის რესპუბლიკა, ნაურუს რესპუბლიკა, ტონგას სამეფო.	მდებარეობა: ქ. კანბერა, ავსტრალია მისამართი: 28 Kareelah Vista, O'Malley, Canberra ACT 2606 ფაქსი: +61 2 616 201 25 ტელ: +61 2 616 201 26 ელფოსტა: canberra.emb@mfa.gov.ge ვებგვერდი: www.australia.mfa.gov.ge

→ ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო	
ფარავს შემდეგ ქვეყნებს/ტერიტორიებს: ავსტრიის რესპუბლიკა	მდებარეობა: ქ. ვენა, ავსტრია მისამართი: Doblhoffgasse 5/5, A-1010 Wien. ფაქსი: +43 1 403 98 48 20 ტელ: + 43 1 403 98 48 ელფოსტა: vienna@geomission.at ვებგვერდი: www.austria.mfa.gov.ge საკონსულო ტელ: +43 1 710 36 11 ფაქსი: +43 1 710 36 10 ელფოსტა: consulate@geomission.at



აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო

ფარავს შემდეგ ქვეყნებს/ტერიტორიებს: ბაქო, სუმგაითი, შირვანი, ლენქორანი, აბშერონი, ნაფტალანი, აღჯაბადი, აღდამ, აღდაშ, აღსუ, ასტარა, ბარდა, ბილესუვარი, ჯაბრაილი, ჯალილაბადი, დევეჩი, გოიჩაი, ჰაჯიგაბული, ხაჩმასი, ხიზი, ხოჯავანდი, იმიშლი, ისმაილი, ჟურდემირი, გაბალა, გობუსტანი, გუბა, გუბადლი, გუსარი, ლერიქი, ლენქორანი, მასალი, ნევჩატა, ოლუსი, საათლი, საბირაბადი, სალიანი, სიაზანი, შემახი, თერთერი, უჯარი, იარდიმლი, ზენგილანი, ზარდაბი, ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკა.

მდებარეობა: ქ. ბაქო, აზერბაიჯანი მისამართი: Baku City, Yashar Huseynov Str. N15, Narimanov District, AZ1069

ფაქსი: +994 12 497 4561
ტელ: +994 12 497 4560
ცხელ ხაზი: +994 50 250 0716
ელფოსტა: bakuemb@mfa.gov.ge
bakucon@mfa.gov.ge
ვებგვერდი: www.azerbaijan.mfa.gov.ge



ქ. განჯაში საქართველოს განაწარუარი საონსალო

ფარავს შემდეგ ქვეყნებს/ტერიტორიებს: ქ. განჯა, ქ. მინგეჩაური, აღსტაფის, ყაზახის, თოვუზის, შამქორის, გედაბის, დამეესანის, გეიგელის, სამეხის, გორანბოის, ევლახის, შექის, კახის, ზაქათალისა და ბელაქანის რაიონები.

მდებარეობა: ქ. განჯა, აზერბაიჯანი მისამართი: Nizami District, Hasan Aliyev Str. N60, Ganja, AZ2000.

ტელ: +994 50 271 1205
ფაქსი: +994 22 256 2138
ცხელი ხაზი: +994 50 271 1205
ელფოსტა: ganja.con@mfa.gov.ge
ვებგვერდი: www.azerbaijan.mfa.gov.ge



აშერიკის შაერთაბულ შტაბაში საქართველოს საელჩო

ფარავს შემდეგ ქვეყნებს/ტერიტორიებს: ვაშინგტონი (კოლუმბიის ოლქი) მერილენდი, ვირჯინიის შტატი, სამხრეთ კაროლინას შტატი, ჩრდილოეთ კაროლინა, ფლორიდის შტატი, ჯორჯიის შტატი, ბაჰამის თანამეგობრობა, ჰაიტიის რესპუბლიკა, გრენადა.

მდებარეობა: ქ. ვაშინგტონი, აშშ მისამართი: 1824 R Street, NW, Washington DC, 20009

ტელ: +1 202 387 2390
საქონსულო: +1 202 387 9153;
+1 202 247 8498
ფაქსი: +1 202 387 0864
ელფოსტა: embgeo.usa@mfa.gov.ge
ვებგვერდი: www.usa.mfa.gov.ge



ქ. ნიუ-იორკში საქართველოს განაწარუარი საონსალო

ფარავს შემდეგ ქვეყნებს/ტერიტორიებს: აშერიკის შერთებული შტატების მთელი ტერიტორია, გარდა - ქ. ვაშინგტონი-კოლუმბიის ოლქისა, ვირჯინიის, მერილენდის, დასავლეთ ვირჯინიის, ჩრდილოეთ და სამხრეთ კაროლინის, ჯორჯიისა და ფლორიდის შტატებისა.

მდებარეობა: ქ. ნიუ-იორკი, აშშ მისამართი: 144 East 44th str. 4th floor, New York, NY 10017

ტელ: +1 212 922 1722
ფაქსი: +1 212 922 1722
ელფოსტა: newyork.con.@mfa.gov.ge
ვებგვერდი: www.usa.mfa.gov.ge



არგენტინაში საქართველოს საელჩო

ფარავს შემდეგ ქვეყნებს/ტერიტორიებს: არგენტინა, ჩილეს რესპუბლიკა, პარაგვაის რესპუბლიკა, ურუგვაის აღმოსავლური რესპუბლიკა, ეკვადორის რესპუბლიკა, ბოლივიის მრავალეროვნული სახელმწიფო.

მდებარეობა: ქ. ბუენოს აირესი, არგენტინა
მისამართი: 14 de Julio 1656 (C.A.B.A)
Buenos Aires.

ტელ: +54 911 4554 5176
ელფოსტა: buenosaires.emb@mfa.gov.ge
ვებგვერდი: www.argentina.mfa.gov.ge



ბელგიის სამეფოში საქართველოს საელჩო

ფარავს შემდეგ ქვეყნებს/ტერიტორიებს: ბელგიის სამეფო, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო.

მდებარეობა: ქ. ბრიუსელი, ბელგია
მისამართი: Rue Père Eudore Devroye
245, 1150 Woluwe Saint Pierre
ფაქსი: +32 2 761 1199
ტელ: +32 2 761 1190
ელფოსტა: belgium.emb@mfa.gov.ge
ვებგვერდი: http://belgium.mfa.gov.ge/

საკონსულო
ფაქსი: +32 2 732 8547
ტელ: +32 2 732 8550
+32 2 280 6686
ელფოსტა: belgium.consulate@mfa.gov.ge



ბელარუსის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო

ფარავს შემდეგ ქვეყნებს/ტერიტორიებს: ბელარუსის რესპუბლიკა

მდებარეობა: ქ. მინსკი, ბელარუსის რესპუბლიკა
მისამართი: № 4, Liberty sq. 4, Minsk, 220030

ტელ: +375 17 327 6219
ფაქსი: +375 17 327 6193
ელფოსტა: minsk.emb@mfa.gov.ge
minsk.con@mfa.gov.ge
ვებგვერდი: www.belarus.mfa.gov.ge



ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს სააღმკრთო

ფარავს შემდეგ ქვეყნებს/ტერიტორიებს: ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა, პერუს რესპუბლიკა, სურინამის რესპუბლიკა, კოლუმბიის რესპუბლიკა, კოპერატიული გაიანას რესპუბლიკა.

სავიზო განცხადების მიზნებისათვის: ტრინიდადისა და ტობაგოს რესპუბლიკა, ვენესუელის ბოლივარული რესპუბლიკა.

მდებარეობა: ქ. ბრაზილია ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა
მისამართი: QI 07 conj. 11 casa 01 Lago Sul CEP 71.615-310

ფაქსი: +55 61 3366 1161
ტელეფონი: +55 61 3366 1101
ელფოსტა: brazil.emb@mfa.gov.ge
ვებგვერდი: www.brazil.mfa.gov.ge



